თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3323289

ნომერი: AR1511564

თარიღი : 06.06.2017

გაცემის თარიღი : 19.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გვანცა რადლევსკაია პ/ნ 01008000668
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 58

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1511564 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ #01.14.12.003.055) წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის #2942094 ბრძანებით ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.12.003.055), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი. 2016 წლის 16 მაისის #2979344 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 16 იანვარს #AR1463356 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი ჩოგოვაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3314631 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
